№ 580 შაბათი, 11 ივლისი. 1896—1898 შაბათი, 11 ივლისი. № 580

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო კარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ღირს
წლის დამლევამდე 3 მ. 50 კ.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ზედაზნის საავარაკოში)

სასეირნო ბაღი

# არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

ყველაფერი იაფად

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—19) ქ. ჩხარტიშვილი




ღვინის სარდაფი

# „იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

# იყალთო

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
**подъ фирмой**
**„ИКАЛТО“**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—5)

სამკურნალო და ამბულატორია

# ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია**. საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი**.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი**.

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.

***Лъчебница С. В. Топуріа*** въ Кутаисѣ.

თანახმად წერილებით თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილისა ამხანაგობამ მოსახერხებლად სცნო რამდენადაც-კი შეიძლება ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

ფას-დაკლებით წიგნები მარტო ამხანაგობის კიოსკში იყიდება—ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩა.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასებად:

თხზულებანი ა. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი . . . . . 1— „
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . „—50
დაბადება და აღზრდა ერეკლე აბტონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი. . . „—10
ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ჰსევდონიმი) . . „—20
თხზ. ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმ., I ტომი „—70
იგივე . . . II ტომი „—60
იგივე . . . III ტომი „—60
იგივე . . . IV ტომი „—80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . . . . . „—10
თხზულებანი აკაკისა, ტომი I „—60
იგივე ტომი II . . . . „—60
თხზ. რ. ერისთავისა ტომი I „—60
არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . . . . . „—25
სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . „—40
საქართველო და მისი წარსული დრო, ვ. პოტტოსი . „—20
აივენგო, ვალტერ სკოტისა . „—50
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში . . . . . „—15
გაბრიელ ეპისკოპოსი სურათით „—15
სამზარეულო ქართულ და ევროპიული საჭმელებისა . . 1—20
ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა . . 1—50
სიბრძნე ბალავარისა . . . „—30
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი გ. სენკევიჩისა . . „—80
დასტურ-ლამა, თხზულება ნიკოლოზ დადიანისა . . „—10

ვინც აქ გამოცხადებულ წიგნებს ყველას ერთბაშად იყიდის, დაეთმობა 14 მანეთად. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ გაეგზავნებათ წიგნები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წიგნების ფასთან ფოსტის ხარჯს 1 მან, გამოგზავნიან.

ამ ფასად წიგნები გაიყიდება მხოლოდ 1 ოქტომბრამდე.

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად:
1893 და 1895 წლ.—7 მან. და 1896 და 1897 წლ.—5 მანეთად.

მხოლოდ ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის „მოამბე“-ზე ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ;

(100—94)

# ახალი ამბავი

*** **საფუძვლიანობასა და სამართლიანობაზე.** ადამიანის ბუნება უფრო ხშირად უსამართლოა, ვიდრე სათნოიანი და მართალი. ბევრი გონებრივი წრთვნა და ზნეობრივი განვითარებაა საჭირო კაცისათვის, რომ აღმაღლდეს თავის ბუნებაზე—ვნებათა ღელვაზე.

მართალია, დიდებული მცნება ქრისტესი კაცთ-მოყვარეობისა და სათნოების,—ვინც მარჯვენა ლოყაზე გაგარტყამს, მარცხენაც მიუშვირეო, დიახაც სასურველია და ყველასათვის სანატრელი, მაგრამ ცხოვრება და ადამიანის ბუნება ათასში ერთხელ თუ ემორჩილება ამ სათნოიან მცნებას.

დანაშაულობისათვის დასჯა, შეურაცხყოფისათვის შეურაცხყოფა და შეცდომისათვის პასუხი ჩვეულებრივი და იმავ დროს უცილობელი მოვლენაა ცხოვრებაში და კაცთა ურთიერთობაში. თვით კანონი და მართლ-მსაჯულება ჰკიცხავს, სჯის და ასამართლებს დამნაშავეს, უმართლოს და ძალ-მომრეს... ეს კიდევ რა, ხშირად დამ-

ნაშავეს სიკვდილითაც სჯიან და ეგეთი უდიდესი სისასტიკე არა თუ აღელვებს და აღშფოთებს საზოგადოების სინიდისს, პირიქით აკმაყოფილებს და ამშვიდებს ბოროტმოქმედებით აღშფოთებულ სინიდისს და გრძნობას სიმართლისას. ხშირად მოხდება ხოლმე, როდესაც შეურაცხმყოფელთა ერთ-ერთ შორის საქმე ხმლით თავდება და არა მცირეა ისეთი მაგალითებიც, როცა შეურაცხმყოფელს შეურაცყოფილი ჰკლავს და არა თუ უმრავლესობა, არამედ თვით სასტიკი კანონიც-კი ამართლებს მკვლელს.

ამას წინად ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა ერთი სამწუხარო ამბავი, რომელსაც სამართლიანად ვუწოდეთ „საფუძვლიანი გალახვა“, რადგან გამლახველი ძლიერ შეურაცხყოფილი იყო უზრდელის სიტყვა-პასუხით და თავ-ხედურის საქციელით.

ჩვენი შენიშვნა ზოგიერთებს სასაცილოდ არ ეყოთ: ზოგმა ველური გვიწოდა, ზოგმა-კი რეგვენი და სხვა ამისთანა ლათაიებით შეგვამკეს, რაიცა ამტკიცებს მათს ზრდილობას და კეთილ-შობილებას...

განა არა, ყოველივე კანონიერი და სამართლიანი ბრაზსა ჰგვრის უმართლო და უკანონო კაცს... შუბლ-გარეცხილ გმირს ისე არა აშინებს-რა, როგორც პატიოსნება, ? ბოროტ-მომქმედს, მძარცველ-მგლეჯელს და კაცის-მკვლელს თავზარსა სცემს სამართალი. ამისთანა ვაჟბატონები და დევ-გმირები ვერას გზით ვერ შეიგნებენ, რაც უნდა გრძემლი სცემოთ თავში, რომ ყოველს დანაშაულს სასჯელი მოსდევს, ყოველს შეცდომას პასუხის-გება, ყოველს თავ-გასულს ალაგმვა და წრეს-გადასულ არამზადას კრიჭაში ჩადგომა, ქურდს ვირის აბანო და მკვლელს ციმბირი.

ნუ თუ ეხლაც ვერ გაიგებენ, რომ ქვეყნად არის საფუძვლიანი გალახვა და სასჯელიც?!

*** **სოხუმის ქალაქის მოურავად**, როგორც გავიგეთ, ასახელებენ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს თავ. ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძეს, რომელიც ამ ჟამად სამეურნეო საურთიერთო ბანკში დირექტორად არის.

*** **ნ. ნიკოლაძის გამგზავრება პეტერბურგში.** ფოთის ქალაქის მოურავი დაულალავი მოღვაწე ნ. ი. ნიკოლაძე კვირას, თურმე, გაემგზავრება პეტერბურგს ფოთის ნავთსადგურის საქმის გამო.

*** **ახალი გამგეობა დრამ. საზოგადოებისა** უკვე შესდგა: გუშინ საღამოს შეიკრიბნენ ახალი წევრნი გამგეობისა, მაგრამ საუბედუროდ ორი წევრი მაინც დააკლდა, მიტომ ამორჩეულ იქმნა დროებით გამგეობის თავმჯდომარედ თავ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი და მდივნად გიორგი ზაქარიას ძე თურქესტანიშვილი, ხაზინადარი ჯერ არ არის ამორჩეული. გამგეობას შემდეგი სხდომა ექნება ამ კვირას.

*** **იმპერატორის ალექსანდრე II-ის მეგლის კურთხევის გამო.** კავკასიის ზოგიერთ საგუბერნიო მთავრობას, როგორც ისმის, კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა მიეცეს სამგზავროდ ფული იმ დეპუტაციებს და კავკასიის ერთა წარმომადგენელთ, რომელნიც მოსკოვს მიემგზავრებიან იმპერატორის ალექსანდრეს II-ის ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად.

*** **გუბერნატორი ქალაქის გამგეობაში.** ოთხშაბათს, 8 ივლისს, ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი მივიდა ქალაქის გამგეობაში და კარგა ხანს იყო იქა. გუბერნატორს ჰსურდა გაეცნო საქმის წარმოება ქალაქის გამგეობაში და აგრეთვე ზოგიერთ საქმეთა ვითარება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გუბერნატორმა ქალაქის განათებისა და ქუჩების მოკირწყვლის საქმეს. ქალაქის მოურავმა განუმარტა გუბერნატორს, რომ ქუჩების და მოედნების განათებას ამიერიდან თვით გამგეობა კისრულობს და 500 ახალ ფარანს დასდგამს ქუჩებშიო. რაც შეეხება ქუჩების მოკირწყვლის საქმეს, ქალაქის გამგეობა შემოდგომაზე შეუდგებაო.

საზოგადოდ ბ-ნმა გუბერნატორმა ის აზრი წარმოსთქვა, რომ ტფილისს რუსეთის იმპერიაში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით მეცხრე ადგილი უჭირავს, მაგრამ თვისის მოწყობილობით-კი მრავალ სხვა ქალაქებს ჩამოუვარდებაო. ბოლოს გუბერნატორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ქალაქის საქმეებს მომეტებული ყურადღება მიაქციეთო.

*** **ტფილისის საბაღოსნო სკოლის 10 მოწაფე**, რომელთაც დააბრალეს სკოლის ერთი შენობის დაწვა და ხეების დაჭრა, როგორც გავიგეთ, გაგზავნილ იქმნენ ქალაქიდან.

*** **მიხ. პ. მეფისაშვილის საქმე.** 9 ივლის ტფილისის ოლქის სასამართლომ მოისმინა პორუჩიკის მიხ. პ. მეფისაშვილის თხოვნა, რომელიც მიცემულ იქმნა სამართალში თავისი ძმის ივანე მეფისაშვილის მოკვლის განზრახვისათვის, და დაადგინა: განთავისუფლებულ იქმნას ბრალდებული მეფისაშვილი სატუსაღოდან მის-მიერ კეთილსაიმედო თავდებისა და 5 ათასი მანეთის წარდგენის შემდეგ.

*** **სომეხთა დახურულ სკოლების ქონების ჩამორთმევა** ტფილისის გუბერნიაში თითქმის დამთავრებულია. სხვა გუბერნიებშიაც, როგორც გავიგეთ, უკვე შეუდგნენ სომეხთა დახურულ სკოლების ქონების ჩამორთმევას.

*** **ტფილისის გუბერნატორი** თავ. ა. ბიკოვი დღეს სამსახურის გამო გორის მაზრაში გაემგზავრება.

*** **შუამდგომლობა ქუთაისში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ.** ქუთაისის გიმნაზიის შტატგარეთმა მასწავლებელმა ს. ვ. ჯორჯიკაიამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ მას ნება მიეცეს დაარსოს ქუთაისში კლასიკური პროგიმნაზია სახელმწიფო სასწავლებლის უფლებით. თავის თხოვნაში ბ. ჯორჯიკაია აღნიშნავს-რა ქუთაისში პროგიმნაზიის დაარსების აუცილებელ საჭიროებას, სხვათა შორის, მოჰყავს ოფიციალური ცნობები, რომლებიდანაც ჩანს, რომ 1892 წლიდან ქუთაისის გიმნაზიისაგან ყოველ 120—150 მოწაფე იღებს უარს გიმნაზიაში მიღებაზე.

*** **ინჟინერი ბლანშო.** ამ ჟამად ქალაქში იმყოფება ინჟენერი ბლანშო, რომელიც მოუწვევია ბ. თამამშოვს წისქვილის გასაკეთებლად. ეს ინჟენერი მცოდნეა ელექტრონის განათებისა. სხვათა შორის ამ ინჟენერმა გამართა მანქანები ელექტრონის განათებისა თავად-აზნაურობის ქარვასლაში.

ბლანშოს ქალაქთან მოლაპარაკება აქვს ქალაქის ქუჩების ელექტრონით განათებაზე.

*** **მკვლელობა.** 9 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ტფილისის სადგურის კონდუქტორმა კონსტ. კობიაშვილმა დანით დაჰკლა იმავე სადგურის მეისრე მიხ. კოწიაშვილი. მკვლელობა მოხდა სადგურის მახლობლად, ბულვარის ქუჩაზე; როგორც ამბობენ, მკვლელს და მოკლულს ერთად ესვათ. მკვლელი შეპყრობილია.

*** **ტივების თავისუფალი მოძრაობა მტკვარზე.** რადგან მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებლის გენ.-ლ. ა. ა. ფრეზეს განკარგულება იმის შესახებ, რომ ტივებს თავისუფლად შეეძლოს მტკვარზე მოძრაობა, რაღაც მიზეზის გამო სისრულეში არ მოჰყავდათ, მეტივეთა ვექილმა ნაფ. ვექ. თანაშემწემ ი. ს. ჯაბადარმა დეპეშა გაგზავნა კოჯორს, რომლის პასუხად 9 ივლისს ბრძანება მოვიდა: მიეცეს თავისუფლება ტივების მოძრაობასაო. ეს განკარგულება მაშინვე სისრულეში იქმნა მოყვანილი 1-ლ განყოფილების ბოქაულის მიერ, რომლის ნაწილშიაც იმყოფება სატივო.

*** **კაცის დახრჩობა მტკვარში.** 9 ივლისს, რაჭის მაზრის სოფელ მუხლის მცხოვრები მეპურე ნიკო ს. ისაკაძე, წისქვილში მივიდა ფქვილის სასყიდლად. როდესაც თავის საქმეს მორჩა, ფქვილის პატრონს გაუსწორდა და წასვლა დააპირა, თვალი მოჰკრა თევზის საჭერ პატარა ბადეს, დაავლო ხელი და ჩაუშვა წისქვილიდგან წყალში თევზის დასაჭერად, მაგრამ ამ ადგილას წყალი ღრმა აღმოჩნდა და რადგანაც ძირს ვერ დაუწია, ბადე წყალმა მოიტაცა. ნიკო რომელსაც მაგრადა ჰქონდა ბადეს ტარზე ხელი მოკიდებული, თან გადიტანა, და შთანთქა ულმობელმა მტკვარმა. გვამი ნავთლუღთან დაიჭირეს. უბედურს დარჩა წვრილი ცოლშვილი.

როგორც ამას წინადაც იყო მოხსენებული „ცნობის ფურცელში“, ამ ადგილზე, მართლაც რომ უვარგისი დარაჯები ყოფილან, რადგანაც ამ შემთხვევის დროს ყურიც არ გაიბარტყუნეს, თუმცა წყალ-წაღებულის გადარჩენა შესაძლებელი იყო, ამიტომ რომ სახელოსნო სასწავლებელთან იგი რამდენჯერმე ამოაგდო წყალმა.

ივ. ვარაზაშვილი

*** **სოხუმი. ზღვის წყლის ბანო საჩ. იოსელიანისა.** ბევრი რამ აკლდა და დღესაც აკლია სოხუმსა, ბევრ-გვარს გაჭირვებას ითმენდნენ აქ საექიმოდ ჩამოსულნი ავადმყოფნი, მაგრამ ყველაზე საგრძნობელი ნაკლულევანება—უაბანობა იყო. ზაფხულობით შეიძლებოდა აქაურს ზღვაში ბანაობა, მაგრამ ზამთრობით-კი ყველასათვის მიუვალი იყო ზღვა. თუმცა სახეირო იყო ყველასათვის, მაგრამ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ ეს ნაკლი სოხუმისათვის აეცილებინა და ზღვის აბანო გაეკეთებინა, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო ზამთარ-ზაფხულ ებანავნათ მსურველთ. როგორც იქნა, ამ გაჭირვებისაგანაც იხსნა თავი სოხუმმა. აქაურმა ცნობილმა კომერსანტმა საჩინო იოსელიანმა 6 ივნისს უკვე დაასრულა ზემოხსენებულის სახის აბანოს შენება. აბანოს შენობა ადგილობრივის ფოსტის კანტორის წინ არის, ზღვის პირას. შეიცავს რვა ნომერს კოხტად და ფაქიზად მორთულს, ევროპიულს გემოვნებაზე მოწყობილს. მსურ-

ველს, შედარებით, მცირეოდენი სასყიდელი გადახდება და შეუძლია მოითხოვოს როგორც ცივი წყალი ზღვისა, ისე თბილი. აბანოში სისუფთავისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ ავადმყოფმა შესაფერის სითბოის წყალი იხმაროს, მოწვეულია ქალაქის ექიმი ბ-ნი მ. დიმიტრიევი. ამ სახით, სოხუმში მომსვლელთ საშუალება აქვთ ისარგებლონ როგორც აქაურის მშვენიერის ჰაერით, ისე ზამთარზაფხულ იბანავონ აქაურის ზღვის წყლითა.

*** **ს. მეტეხი** (ქართლი). მდ. ენგურში დამხრჩვალი მეტეხელები. ამას წინად გაზ. „ცნ. ფურც.“-ში გამოცხადებული იყო, რომ მდ. ენგურში ორი ხიდისთაველი მეტივე დაიხრჩოვო. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. მდ. ენგურში დამხრჩვალი მეტივეები იყვნენ მეტეხელი გლეხები დათიკო ლალიაშვილი და გიგო ბიაძე, რომლებიც წაიყვანა აქედან ერთმა სოხუმელმა და რომელთაც დაჰპირდა თვეში სამ-სამ თუმანს ქირად. [illegible] გლეხები იყვნენ მეტად ღარიბნი, არც სამუშაო გააჩნდათ და დიდი სიხარულით გაჰყვნენ სოხუმელს. დღეს მათი დღე-დამწვარი [illegible]ოლ-შვილი სრულიად უპატრონოდ არის დაგდებული და უკიდურესს მდგომარეობაში იმყოფება. გარდა ამისა, დათიკა ლალიაშვილის დახრჩობამ ზარალი მიაყენა მთელს სოფელს, რადგან ამ გლეხს, რომელიც აქ ხარკის ამკრებად იყო, ჰქონდა ფული 230 მან. და დღეს არავინ იცის, სად [illegible]ის ეს ფული. მისი ამხანაგები [illegible]ბენ, მას სახარჯოდ თან ჰქონდა მხოლოდ 5 მანეთიო, ხოლო ცოლი ამბობს, ჩემთვის ერთი მანეთის მეტი არ დაუტოვებიაო.

დიდი საყვედურის ღირსია ადგილობრივი მამასახლისი იმის გამო, რომ როცა მან ლალიაშვილს ბილეთი დაუწერა, საჭირო განკარგულება არ მოახდინა ხსენებულის ფულის შესახებ და ამით ხელახალი ნედოიმკა დაატეხა სოფელს. იმედია ახლა მაინც ისწავლის მამასახლისი ჭკუას და სხვა-და-სხვა სბორჩიკები“-საგან მოგროვილს ფულს თავს მოუყრის.

ალექსი მირზაშვილი

*** **დ. ბაღდათი** (იმერეთი). აშენებულების თხოვნა. ადგილობრივმა საზოგადოებამ საერთო ოქმით შუამდგომლობა აღძრა მთავრობასთან: ორ-კლასიან სკოლისათვის შენობის ასაგებად მოგვეცეს ის 1200 მან., რომელიც ინახება ბაღდათის სასარგებლოდ ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაშიო. იმედია მთავრობა შეიწყნარებს ასეთს სიმპატიურს შუამდგომლობას და ამ ფულს დაახმარებს ბაღდათელებს ისეთს კეთილ საქმეში, როგორიც არის სკოლა.

ვარლამ ობჩელი

*** **დ. ზესტაფონი.** გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა. ზესტაფონში გამოწერილი აქვთ: „კრებული“ 33, „კვალი“ 32, „ცნობის ფურცელი“ 32, „ივერია“ 20, „მოამბე“ 4, „ნოვოე ობოზრენიე“ 25, „კავკაზ“ 8, „ტიფ. ლისტოკი“ 1, „მშაკი“ 3, „ბირჟევ. ვედომოსტი“ 7, „ნოვოსტ“ 1, „ვესტნიკ ფინანსოვ“ 1, „მოდი“ 1, „რუსსკიი პალომნიკ“ 1, „სენატ. ვედ.“ 10, „სევერ“ 4, „ცერკ. ვედ.“ 49, „რუსსკია ვედომოსტ“ 2, „ვოკრუგ სვეტა“ 2, „როდინა“ 3, „მასკ. ვედ.“ 1, „პასტ. სობესედნიკ“ 1, „ნივა“ 28, „ვსემირ. ილიუსტრაცია“ 1, „პარიჟსკია მოდი“ 3, „სენატ. ობიავ.“ 13, „პრიდნეპრიი კრაი“ 1, „ცერკ. ვესტ.“ 2, „მალიუტკა“ 1, „იგრუშკა“ 1, „ზადუშევნ. სლოვო“ 1, „ვესტ. ევროპ.“ 1, „ჟურნალ დლია ვსეხ“ 2, „ხრისტიანსკოე ჩტენიე“ 1, „რუსსკაია შკოლა“ 1, „კომნატნოე ცვეტოვოდსტვო“ 1, „ორნამენტ“ 1, „მცკემსი და პასტირ“ 155, და ამათ გარდა მოდის კიდევ ხუთი სხვა და სხვა სამზღვარ გარეთელი გაზეთები. სულ-კი—459.

ნაპერწკალი

*** **სოფ. თიანეთი.** უბედური შემთხვევა. თიანეთის ახლოს ადგილობრივი მცხოვრებნი სთხრიან ხოლმე თიხნარ მიწას, რომლითაც შინ კეცებს და თორნეებს აკეთებენ. 4 ამ მკათათვეს წასულიყვნენ მიწაზე ქვრივი ქეთევან მოსახლიშვილისა თავის 15—16 წლის ქალით კატოთი და რამდენიმე სხვა სოფლის ქალებით. მათ დაეწყოთ მიწის თხრა ერთ ნათხარ ადგილას გამოქვაბულში და აი აქ მოხდა შემდეგი უბედურება. ჩანგრევმა მიწამ, თურმე, თავი ვეღარ დაიჭირა, რადგან ძირი ძალიან ღრმად ჰქონდა გათხრილი, უცბად ჩამოინგრა და ქვეშ მოიტანა რამდენიმე ქალი, ხოლო იქვე ახლო შესწრებულ მეხრეების წყალობით რამდენიმე გადარჩა, მაგრამ საწყალი ქვრივის ქალს კატო მოსახლიშვილს კი ვეღარა უშველეს რა, რადგანაც გამოთხრილ მიწაში სუყველაზე წინ ისა ყოფილიყო და სანამ ამოსთხრიდვენ, უკვე მომკვდარიყო.

როგორც ამბობენ, წინათაც რამდენჯერმე მომხდარა, თურმე, აქ ასეთი უბედურება, მაგრამ დღესაც ამ გარემოებას ყურადღებას არავინ აქცევს, არც უკრძალავენ მიწის თხრას და არც მაშინ ანგრევენ მიწას, როგორც კი ღრმათ გაითხრება,

— სეტყვისაგან დაზარალებული სოფლები. როგორც შეკრებულ ცნობებიდანა სჩანს, საყარაულოს საზოგადოების სოფლებს: კუპრიანთ კარს, ჭიოტაანთ კარს, უკუღმართს, ჯიხოს, ჩეკურაათ კარს, ბოკონს, ალოტს და ევჟენტს მოსვლიათ 7 თიბათვის სეტყვის გამო 23390 მანეთზე მეტი ზარალი, ხოლო საყდრიონის საზოგადოების სოფლებს: ნადირაანთ ხევს, ცალუღელაანთ კარს, თოლენჯის ხევს, სვიმონიანთ ხევს, მელია საყარაულოს და გორძნას—41,000 მან., სულ ორივე საზოგადოებას მოსვლიათ 64390 მანეთამდე ზარალი. ეს სოფლები ისე საშინლათ არიან დაზარალებულნი სეტყვის გამო, რომ მათი გამობრუნება აღარ შეიძლება 5—6 წლამდე, თუნდაც რომ კარგი მოსავლიანი წლებიც დაიჭიროს.

იგივე

*** **ს. ლანირი** (იმერეთი). მეურნეობა. ადგილობრივი თავადის ნ. ა. დგებუაძის ჩაგონებით ჩვენებურმა გლეხებმა დაიწყეს ბაღების გაშენება. გლეხების შრომა ამ დარგში საუცხოვოდ ჯილდოვდება და, სხვათა შორის, ამას წინად ორმა გლეხმა, გვარად მანჯგალაძეებმა, ას ასი ფუთი მარწყვი გაჰყიდეს, ხოლო ფუთი მარწყვის ფასი წელს ოც მანეთზე არ ჩამოსულა. გარდა ამისა, იმავე თავადის მეოხებით დღეს ჩვენში ადგილობრივი აზნაურები, ელიებიც ეტანებიან მუშაობას, თუმცა მათ ამ 5—6 წლის წინად მუშაობა სირცხვილად მიაჩნდათ.

— სწავლა-განათლების მდგომარეობა. ჩვენში სწავლა-განათლება ამ ბოლო დრომდე უნუგეშო მდგომარეობაში იყო; ამ ოთხი ხუთი წლის წინად აქ არ იყო არც ერთი სასწავლებელი. თავ. დგებუაძის დიდი ხნის მეცადინეობისა და ბოქაულის ტატიშვილის დახმარების შემწეობით, როგორც იქმნა, შეიგნო ხალხმა სწავლის საჭიროება და დაიარსეს ერთ-კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც დღეს დიდი ნაყოფი მოაქვს სოფლისათვის. სასწავლებლის კეთილ-დღეობას დიდად შეუწყო ხელი მისმა მასწავლებელმა ბ. ქუთათელაძემ, რომელმაც სკოლას შემოაკრა მიწა, გააშენა შიგ ბაღი და დაუწყო მეურნეობის სწავლება მოწაფეთ, რომლებიც მშვენივრად მუშაობენ ბაღში. დიდი მადლობის ღირსია თავ. ნ. ა. დგებუაძე და ბ. ქუთათელაძე.

ივანე მიქაძე

*** **ზემო-ქართლი.** ჭირნახულის მოსავალი. წელს, თიბათვის შეზავებულის ჰაერის და წვიმების გამო, ზემო-ქართლის ჭირნახული ამ ბოლოს დროს გამობრუნდა და ისე გამოკეთდა, რომ ავ-თვალს არ დაენახვება; სწორედ ღვთის თვალი ტრიალებს ჩვენის კუთხის ყანებში. პური საკმარისად კარგია, სიმინდის და ლობიოს სიკარგეს ხომ ვეღარ ასწერს კაცი. ზემო-ქართლის ვენახებიც მშვენივრად არის, კარგად ასხიათ და თუ ამას შემდეგ არ დაზარალდა, ღვინოც საკმარისად მოგვივა...

განუსაზღვრელია გლეხის სიხარული, მას აღარ ახსოვს წვალება, აღარც ბეგარა, აღარც ბატონი და აღარც სხვა... თავის-თავი მთელი ქვეყნის პატრონი ჰგონია, რადგან იმედი აქვს, რომ ცოლ-შვილსაც გამოჰკვებავს და ყველა გარდასახადსაც პირ-ნათლად მოიშორებს.

მედავითნე სერგო

## საპედაგოგიო კურსები ტფილისში

9 ივლისს, რუსულ ენაში გაკვეთილი მისცა ქ-ნმა ბურჯანაძისამ. გაკვეთილმა კარგად ვერ ჩაიარა. გაკვეთილს ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა. პირველ განყოფილებაში ახალი არა აუხსნია რა მასწავლებელს. დრო თანასწორად არ იყო განაწილებული.

შემდეგ ქ-ნმა ქუჩუკაშვილისამ მისცა არითმეტიკაში გაკვეთილი. პატივცემულს ქალს კარგად მომზადება ეტყობოდა; ხელოვნურად საქმის წაყვანით ბავშვებს ადვილად შეასმინა გაკვეთილი. გაკვეთილმა მხიარულად ჩაიარა და ყველანი ნასიამოვნები დარჩნენ. პირადი ღირსებანი მასწავლებლისა იყვნენ: გამბედაობა, სიმკვირცხლე და ბავშვების ბუნების ცოდნა. აგრეთვე ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ თუმცა გაკვეთილის დროს პატივცემულს ქალს ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მაინც არ დაიბნა, რაც ხშირად ხდება, და გაკვეთილი ჩაატარა თანახმად თავის კონსპექტისა.

დაბოლოს ქართულში მისცა გაკვეთილი ბ-მა მაჭარაშვილმა. სამივე განყოფილებაში სამაგალითოდ ჩაიარა გაკვეთილმა და მიზანსაც მიახწია თითქმის ყველა პედაგოგიური მოთხოვნა დაცულ იყო. სამაგალითო იყო პირველი და მეორე განყოფილებაში გაკვეთილის ახსნა. მასწავლებელს ეტყობოდა საქმის სიყვარული.

შემდეგ გაკვეთილებისა ლექცია წაიკითხა მღ. ვ. კარბელაშვილმა ვალობის შესახებ, რომელიც მოგვყავს აქვე მოკლედ.

ლექტორი პირველად იმას შეეხო, შეიძლება თუ არა საყოველთაოდ სავალდებულო იქმნას გალობა და ის დასკვნა გამოიყვა-

ნა, რომ ყრუები და მუნჯები გალობისაგან განთავისუფლებულები უნდა იქმნანო. დანარჩენებისთვის კი სავალდებულოაო. ზოგიერთ ფიზიკურ ნაკლულევანების გასასწორებლად პედაგოგია გალობას ხმარობსო,—სთქვა პატივცემულმა მ. ლექტორმა, მაგალ.: ბლუებისთვის გალობის სწავლება პატარაობიდგანვე უნდა დაიწყოსო, რადგან სიმღერის სურვილი ექვსის და თითქმის მესამე წლიდგანვე უნდებაო, მაგრამ სისტემატიურად მეცადინეობა ბავშვთან რვა წლამდის არ შეიძლება; აქნამდის გალობა, როგორც გასართობი საგანი ისე უნდა იყოს ბავშვისთვის და არა როგორც სასწავლებელიო.

გალობა ნოტებით და აგრეთვე უნოტოთ, გაგონებით შეიძლება შეისწავლონო, უკანასკნელი პირველს წინ უძღვისო, აქ ისევეა, როგორც საზოგადოთ წერა-კითხვის სწავლაში; სადაც ჯერ ლაპარაკს სწავლობს ბავშვი და მერე წერა-კითხვასო. უფრო სასიამოვნოა კი,—განაგრძო პატივცემულმა ლექტორმა, რომ ეს ორივე საშუალება გალობის სწავლისა ხელჩართულნი მიდიოდნენ და ერთი ერთმანერთს ეხმარებოდნენო. ერთად გალობას უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, მინემ თითო თითო გალობასო, რადგან ერთად გალობა უფრო კარგ შთაბეჭდილებას ახდენს კაცზეო.

მ. ლიხელი

## სამეურნეო ცნობა

**სამკურნალო მცენარეულობა.** ჩვენი ქვეყანა, ე. ი. საქართველო უხვად არის დაჯილდოვებული ყოველის გვარის სამკურნალო მცენარეულობით, რომლის შემწეობით ათას ექიმს გაუთქვამს სახელი და დაუწერიათ კარაბადინები, რომ ესა და ეს ბალახი ამა და ამ სენის წამალიაო, ამ ბოლო დროს ნასწავლმა ექიმებმა განდევნეს კარაბადინები და შინაური ექიმობაც. მასთან ერთად დაეკარგა მნიშვნელობა ჩვენებურს სამკურნალო მცენარეებსაც, რომლებითაც თითქმის სასწაულებს ჩადიოდნენ. იმავე მცენარეებიდგან შემდგარი წამალი ეხლა სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ ჩვენს ქვეყანაში და მამასისხლის ფასად იყიდება. აქნობამდისინ არავინ გამოჩენილა ჩვენში, რომელმაც ისარგებლოს ბუნებიდგან მოცემული სამკურნალო ბალახით, არამც თუ დათესოს და მოიყვანონ ზოგი ერთი მათგანი, ჯერ რუსეთის იმპერიაში არც კი ვისმეს უცდია სამკურნალო მცენარის დათესვა, რომელიც, რაც უნდა იაფად გაიყიდოს მაინც სხვა ნაწარმოებზე მეტად იყიდება. აქვთ ზოგიერთებს რუსეთში პიტნით ნათესი მინდვრები, მაგრამ მისგან ზეთის გამოსახდელი მოწყობილობა ძალიან იშვიათია ისიც უხეირო, მეტი წილი ამ პიტნისა სამზღვარ გარეთ მიდის, იქ ხდიან ზეთსა და მერე აქა ე. ი. რუსეთში გზავნიან, ეს პიტნის ზეთი ოცდა სამ მანეთამდის იყიდება აფთიაქის გირვანქა! ეს დათესვა იქით იყოს, ამის მოვლას ცოდნა უნდა (თუმცა პიტნისას ბევრი არაფერი) მაგრამ დაუთესავად მოსულს რათ ვუქცევთ მხარსა. ერთ ქართველს არავის მოსვლია აზრად მოეძებნა სახელ-გაკეთებული ჯორიძუა (კუზმიჩის ბალახი) რომლითაც დაფარულია კლდეები და ქალები ჩვენის ქვეყნისა, ნიშანდობლივ მოგახსენებთ იმ ადგილს სადაც ის გახლავთ ზედა მცხეთის ხიდზე, პომპეის ნანგრევებზე და კლდეებზე ამ ძველის ნახიდარისა, და მცხეთის გარშემო აუარებელია იგი დაბალი ჩირგვია, მწვანე ზამთარზაფხულ, გძელი ერთმანეთზე გადაბმული კოკოჩანებით, რომელიც წააგავს ქაობის ბალახს ძუარას. მაისში გამოიღებს ყვითელ პატარა ზიზილას და მერე მოისხამს მწვანე კაკლებს, ეს ბალახი მრავალია სომხეთში ქალაქს ახლო-მახლოც. საიდანაც ამ სამი წლის განმავლობაში ათასობით ფუთსა ჰგზავნიდა ერთი ამ ბალახის მცოდნე პირი, თუმც განცხადებაში გირვანქა ხუთი და სამი მანათი ეწერა, მაგრამ მას დიდს სარგებლობას აძლევდა გაეყიდნა ფუთი ორ მან. და ათ შაურად. ჯორიძუა მრავალია ქ. გორის ქალებშიაც.

მეორე ბალახი გვირილა (Ромашка). ეს ყველგან არის, ამის ფქვილი „პარაშოკი“, ყველამ იცის რა ფასადაც იყიდება, ჩვენ შედარებით მეტად იაფად შეგვიძლიან გავყიდოთ.

მესამე ბალახი სვინტრის ყვავილით (Лапдыхъ) მეოთხე ლენცოფა, ცაცხვის ყვავილი, დიდგულის ყვავილი და სხვა მრავალისაგან სამკურნალო მცენარე იზრდება ჩვენში, მაგრამ უსარგებლოდ. დრო არის ვისარგებლოთ ამ სიმდიდრით, როგორც ბუნებით მოყვანილ დათესილით აგრეთვე გავაშენოთ პლანტაციები სამკურნალო ბალახებისა თუ ერთ კაცს არ შეუძლიან, ანუ არ ეხერხება, შევადგინოთ ამხანაგობა და საერთო მოსაზრებით გავჩაღხოთ საქმე. გამოვიწეროთ საზღვარ-გარეთიდან თესლები და ვისარგებლოთ ჩვენი მიწა-წყლით.

ეს საქმე მე გულით მწადიან და იმედი მაქვს მოვიპოვებ თანამგრძნობლებსაც და ერთმანეთის დახმარებით ვისარგებლებთ.

სამაჩაბლოელი

## სასამართლოს მატიანე

გუშინ 9 ივლის, ტფილისის მეორე ნაწილის მოსამართლემ განიხილა 21 ყასბის საქმე, რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებული ნიხრზე ძვირად ჰყიდდნენ ხორცსა.

იმავე მოსამართლემ განიხილა საქმე საკანდიტერო მაღაზიის პატრონის საკოიანცისა, რომელსაც ჰბრალდებოდა, რომ ამას წინათ იმის მაღაზიაში რამდენიმე კაცი მოიწამლა. მოსამართლემ ეს საქმე გადასდო და დაადგინა მოწვეულ იქმნენ ის კაცები, რომელნიც მოიწამლენ საკოიანცის მაღაზიაში და აგრეთვე მკურნალი კარაპეტიანცი, რომელიაც სწამლობდა იმათ.

იმავე დღეს ტფილისის მესამე ნაწილის მოსამართლემ გაარჩია საქმე გრაჩევისა და კოვტუნენკოსი, რომელთაც ჰბრალდებოდათ, რომ თავიანთ მაღაზიებში უვარგისს სანოვაგეებს ჰყიდდნენ, მოსამართლემ გრაჩევს ერთის თვით დაპატიმრება მიუსაჯა საპატიმროში და კოვტუნენკოს კი—ორის თვით.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან),

9 ივლისი.

**პარიჟი.** გაზეთები ამტკიცებენ, რომ ზოლა საზღვარ-გარეთ წავიდაო; ზოგი ამბობს ბრიუსელში წავიდაო, ზოგი იუწყება დაწვრილებით ცნობებს, საიდგანაცა სჩანს, რომ ზოლა დღეს უნდა მივიდეს ლიუცერნში.

**სანტ-იაგო.** დამოკიდებულება მოამბოხეთა და ამერიკელებს შორის დღითი-დღე მწვავდება. შაფტერმა განაცხადა, არც ერთ მეამბოხეს ქალაქში შესვლის ნება არ მიეცემაო. მეამბოხეთა მიერ ამორჩეული გუბერნატორი კასტილიო თავის უკმაყოფილებას არა ჰმალავს. შიშობენ, რომ ახლო მომავალში შეტაკება არ მოხდეს.

**მადრიდი.** გენერალი პარეხა, გვანტანამოს ჯარის უფროსი, უარს აცხადებს ამერიკელებს არ დავემორჩილებიო და ამბობს, რომ ტორალს შეეძლო დაემორჩილებინა ამერიკელებისთვის მხოლოდ სანტ-იაგოს ჯარი, ხოლო სანტ-იაგოს სულ 7,000 მეციხოვნე ჰყავსო.

ბლანკო დეპეშით იუწყება, რომ სანტ-იაგოს ეს საქმე უჩემ დასტუროდ მოახდინესო. ტორალი სამართალში იქმნება მიცემული.

**პარიზი** „Times“-ი ამბობს: იმ დეპეშებიდან, რომელიც ეს არის ეხლა მივიღე, სჩანს, რომ ესპანიასა და შეერთებულ შტატებთ შორის ოფიციალური მოლაპარაკება დაიწყოო.

**ბაქო.** იწვება ვეინერის ხ[illegible] ტყის დიდი საწყობები. ზარა[illegible] უზომოა. შენობები დაზღვეულ[illegible]

**გელსინგფორსი.** ხელმწიფე [illegible]პერატორმა 7 ივლისის მანიფესტით მოიწვია საგანგებო სეიმ[illegible] 1899 წლის 7 იანვრისათვის [illegible] კითხვის განსახილველად, რომ შე[illegible] მოღებულ იქნეს თუ არა ფინლიანდიაში ახალი კანონი სამხედრო ბეგარის შესახებ.


## განცხადებანი

**ექიმი**

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 სათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

**Докторъ К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.

**КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,**

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,**
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел. хоз. кредита и препод. школы садоводства.**

**Плата за весь курсъ 60 руб.**

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-х часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—26)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Іюля 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ჯუნაშვილი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი გ. ზუბაშ